ხელშეკრულება №27

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 24 ივლისი 2019წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქ. ქუთაისის №33 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა ისკაკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,რაპაკა "(შემდგომში-მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერი გვეტაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სკოლაში ოთახის აბრებისა და გამჭირვალე ორგანული ჯიბეების შესყიდვა (CPV 30100000 კოდით) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1241(ათას ორას ორმოცდა ერთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და

მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
შ.პ.ს. ,,რაპაკა“	სსიპ - ქ. ქუთაისის #33 საჯარო სკოლა
მისამართი:ქ.ქუთაისი. წერეთლისდა ჯიბლაძის 35/2.	მისამართი:ქ.ქუთაისი,ახალგაზრობის გამზ.№60
ტელეფონი: ---	ტელეფონი: (+995 431) 22-12-36
ს/კოდი: 412704505	საიდენტიფიკაციო კოდი: 212708453
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
,,პროკრედიტ ბანკი“	ლიბერთი ბანკის ქუთაისის ფილიალი
საბანკო კოდი:MIBGGE22	საბანკო კოდი: LBRTGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში:	ანგარიშსწორების ანგარიში:
GE54PC001360 0100 0459 00	№GE96LB0121133815303000
დირექტორი:	დირექტორი:
---------- /კ.გვეტაძე /	---------- / მ. ისკაკოვა/
——————————————2019 წ.	—— ——---------- 2019წ.

ხელმოწერილია ელექტრონულად

საგნის აღწერა დანართი №1

№	დასახელება	განზომილ ების ერთეული	რაოდენო ბა	ერთეულ ის ფასი	საერთო
1	საპირფარეშოს აბრა	ც	24	5	120
2	საკაბინეტე აბრა 23*8 სმ-ზე	ც	53	9	477
3	ოთახის ნომრები	ც	52	4,5	234
4	შესასვლელი აბრა	ც	1	90	90
5	გამჭირვალე ორგმინის ჯიბე	ც	40	8	352
	ჯამი:				1241

დირექტორი: დირექტორი:

---------- /კ. გვეტაძე / ---------- / მ. ისკაკოვა/

——————————2019 წ. ——————————2019 წ.

	წარწერა	ნიშანი
1101		მუსიკის ნიშანი
1102	მანდატური	
1103		მუსიკის ნიშანი
1105		ლურჯი გოგო
1106	სპორტის კაბინეტი	
		ლურჯი ბიჭი
		WC
		ადაპტირებული ტუალეტი
1114	ბუფეტი	
1115	დარაჯი	
1118	გახანგრძლივებული ჯგუფი	
1120	სპორტული დარბაზი 2	
1201	1ბ კლასი დამრიგებელი	
	2ბ კლასი დამრიგებელი	
		გოგო ოქრ
		ბიჭი ოქრ
1206	1გ კლასი დამრიგებელი	
	2გ კლასი დამრიგებელი	
1208	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია	
1209	კომპიუტერული კლასი 1	
1210	1დ კლასი დამრიგებელი	
	დირექტორი	
	საქმისმწარმოებელი	
1213	1ა კლასი დამრიგებელი	
	2ა კლასი დამრიგებელი	
1301	მუსიკის კაბინეტი 1	
		გოგო ოქრ
		ქალი ოქრ
		ბიჭი ოქრ
1306	3ა კლასი დამრიგებელი	
1307	3ბ კლასი დამრიგებელი	
1308	3გ კლასი დამრიგებელი	
1309	4ა კლასი დამრიგებელი	
1310	4ბ კლასი დამრიგებელი	
1311	4გ კლასი დამრიგებელი	
2101	კომპიუტერული კლასი 2	
2102	ქიმიური ლაბორატორია	
		ადაპტირებული ტუალეტი, ბიჭი ოქრ
		ბიჭი ლურჯი
		გოგ ლურჯი
2108	საწყობი	

2110	სპორტული დარბაზი 2	
2111	რესურს ოთახი	
2112	ბიბლიოთეკა	
		ადაპტირებული ტუალეტი, გოგო ოქრ
2115	შეხვედრების სივრცე	
2116	ქიმიის კაბინეტი	
2201	ბუღალტერი	
	ინფო მენეჯერი	
2202	ბიოლოგიის კაბინეტი	
		ბიჭი ოქრ
2205	მათემატიკის კაბინეტი 1	
2206		ჭადრაკის ნიშანი
2207	ფიზიკის ლაბორატორია	
		გოგო ოქრ
2210	მათემატიკის კაბინეტი 2	
2211	გეოგრაფიის კაბინეტი	
2301	დირექტორის მოადგილე	
2302	ისტორიის კაბინეტი 1	
		ბიჭი ოქრ
2305	ისტორიის კაბინეტი2	
2306	სააქტო დარბაზი	
2307	სკოლის მუზეუმი	
2309	ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი 1	
		ქალი ოქრ
2312	ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი 2	
2313	ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი 3	
2401	უცხო ენის კაბინეტი 1	
2402	უცხო ენის კაბინეტი 2	
		ბიჭი ოქრ
2405	უცხო ენის კაბინეტი 3	
2406	არქივი	
2407	სამოქალაქო განათლების კლუბი	
		გოგო ოქრ
2410	კულტურის სივრცე	
2411	უცხო ენის კაბინეტი 4	

ხელწერილი N25-1

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. ქუთაისი ივლისი 2019 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ოთახების ,,აბრების“ შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, **შპს ,,რაპაკა-’’სთან** არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ქალაქ ქუთაისის
N33 საჯარო სკოლის დირექტორი /მარინა ისკაკოვა/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: (მაქსიმე ჭელიძე)